ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/03

დაბა ქედა, **27 თებერვალი, 2026 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:35 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 24 წევრიდან ესწრებოდა 22.
სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ნაზიმ ჩხეიძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ამირან დევაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
თენგიზ ყადიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ზვიად არძენაძე -საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
აწზორ გოგიაშვილი-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მერაბ ტაკიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
არკადი საკანდელიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
რამაზ თავდგირიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა"-ს თავმჯდომარე;
დურმიშხან შავიშვილი-საკრებულოს წევრი;
ჯამბულ შარაბიძე-საკრებულოს წევრი;
რამაზ ალიქაძე-საკრებულოს წევრი;
მურად დიასამიძე-საკრებულოს წევრი;
გივი ლორთქიფანიძე-საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/03 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 თებერვალი, 2026 წელი

#	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის პირველი მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ნაზიმ ჩხეიძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	რამაზ თავდგირიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მერაბ ტაკიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	ანზორ გოგიაშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	არკადი საკანდელიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	ზვიად არძენაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
18	თენგიზ ყადიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
19	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	დურმიშხან შავიშვილი	საკრებულოს წევრი	
21	მურად დიასამიძე	საკრებულოს წევრი	
22	გივი ლორთქიფანიძე	საკრებულოს წევრი	
23	რამაზ ალიქაძე	საკრებულოს წევრი	
24	ჯამბულ შარაბიძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სხდომაზე დამსწრეთ წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №01-06/03 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის
უფროსი: გულადი წითელაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2025 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 1

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №01-06/03 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა გულად წითელაძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95260281-95, 29.01.2026 წელი) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზანია, დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი - ადგილმდებარეობის მიხედვით და განისაზღვრა მისი გამოანგარიშების წესები.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტი (დადგენილება) მიიღოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენა, სადაც მიწის

ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი მნიშვნელობა გაიზარდა K – 76,8-ს ნაცვლად მისი მნიშვნელობა განისაზღვრა K-87.8-ით, რამაც გამოიწვია ფასების დადგენის ნაწილში ცვლილებები, გამომდინარე აქედან თუ როგორ ხდება აღნიშნულ საკითხის სამართლებრივი რეგულირება დაწვრილებით გადმოცემულია დადგენილების პროექტზე თანდართულ დანართებში, კერძოდ:

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი") დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$, სადაც:

ა) C_N - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} - არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;

გ) I_{TL} - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის - 1-ს; (რადგან დაბა ქედაში ზონირება არ ხორციელდება)

დ) C - არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K - არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 87.8-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედაში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0.38	1	0.24	87.8	8.0

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.4 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.00 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ

მხარეს) არსებული სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4.00 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

ასევე, წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №12 დადგენილება (სსმ, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016306, 06/03/2020), ხოლო, მესამე მუხლით განსაზღვრულია დადგენილების ძალაში შესვლის საკითხი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 1 (ჯამბულ შარაბიძე)
დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

(დადგენილება N:2; 27.02.2026 წელი).

2. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2025 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა სულიკო სურმანიძემ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2025 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ (წერილის ნომერი: №12-95260542-95, 23.02.2026 წელი)საკრებულოს მორიგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მომხსენებელს მიმართა კითხვით არსებობდა თუ არა საფრთხე დაბა ქედაში, კერძოდ აკავრეთას ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიების უნებართვოდ დაკავების, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, ამ პერიოდისათვის მსგავსი პრობლემა არ იყო.

საკრებულოს წევრი მერაბ ტაკიძე შემოვიდა წინადადებით, სასწავლო პერიოდის მიმდინარეობისას კარგი იქნებოდა უსაფრთხოების მიზნით გარკვეული ტიპის შეზღუდვა დაწესებულიყო ავტომობილების მოძრაობაზე.

საკრებულოს წევრმა დურმიშხან შავიშვილი შემოვიდა წინადადებით, რომ კარგი იქნებოდა მანქანების გაჩერება აიკრძალოს სამუშაო საათებში ან 15 წუთის შემდეგ მანქანის გაჩერება იყოს ფასიანი, რაზედაც მომხსენებელმა სულიკო სურმანიძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხები მერიის კომპეტენციას სცილდებოდა, რადგან საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას წარმოადგენდა. ასევე ისაუბრა უნებართვო მშენებლობებთან დაკავშირებით გამკაცრებულ სანქციებზე, რომელიც 2026 წლის 1 თებერვლიდან შევიდოდა ძალაში, სადაც მოქალაქეს ნებართვის გარეშე მიშენება ან მსგავსი ტიპის მშენებლობა ეკრძალება. თხოვა საკრებულოს წევრებს აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებინათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ მადლობა გადაუხადა მერიის ზედამხედველობის

სამსახურის უფროსს ანგარიშის წარდგენისათვის და წარმატებული სამუშაო წელი უსურვა. აქვე აღნიშნა, რომ სასიამოვნო და მისასალმებელია ქედის ტერიტორიაზე ავტომობილების სადგომის მოწყობა, რამაც შესაძლებელი გახადა დაბისა და ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომობილების შეუფერხებელი მოძრაობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 1 (ჯამბულ შარაბიძე)
დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

(განკარგულება N:გ-95.95260581; 27.02.2026 წელი).

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:35 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**